ხელშეკრულება №23-154
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი

შპს "ენგურჰესი", იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი. ა. პოლიტკოვსკაიას ქ. #8, (ფაქტიური მდებარეობა გალის რ-ნი, ს. საბერიო, ს/კ 251716371) შემდგომში „შემსყიდველად“ წოდებული, მისი დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის - ლევან მებონიას სახით, რომელიც მოქმედებს კომპანიის წესდების საფუძველზე ერთის მხრივ და

შპს ,,ბრენდჰენდი”, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, დ. გამრეკელის ქ., N1, ბ. 4, ს/კ 405326115, შემდგომში ,,მიმწოდებლად" წოდებული, წარმოდგენილი მისი დირექტორის - გიორგი დოლიძის სახით, რომელიც ასევე მოქმედებს კომპანიის წესდების შესაბამისად მეორეს მხრივ, ორივე ერთად წოდებული როგორც მხარეები

გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების და გამარტივებული შესყიდვების ჩატარების წესის მე-2 მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს – ***50 ცალი ბრენდირებული ქაღალდის ჩანთის (ზომით: განი - 22 სმ, სიმაღლე - 36 სმ, სიგანე - 7,50 სმ-ზე, ლამინაციით) შესყიდვა.***

1.2. **კლასიფიკატორის კოდი: CPV-18933000.**

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ერთი ცალი ბრენდირებული ქაღალდის ჩანთის ღირებულებაა: 7,45 (შვიდი ლარი და 45 თეთრი) ლარი, შესაბამისად სახელშეკრულებო თანხა შეადგენს: 50*7,45=372,50 (სამას სამოცდათორმეტი ლარი და 50 თეთრი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადს.

3. მხარეთა ვალდებულებები

3.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს საქონლის მიწოდება ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში.

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყონებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორება ან ახლით შეცვლა.

გ) გადასცეს „შემსყიდველს“ ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო საქონელი.

დ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

3.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

ბ) უზრუნველყოს ინსპექტირების განხორციელება.

4. ინსპექტირება

4.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ინსპექტირება, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას ინსპექტირების განხორციელების დროს.

4.2. საქონლის ინსპექტირებას განახორციელებს: შპს ,,ენგურჰესი“-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი - შორენა ბურსულაია.

4.3. შემსყიდველის მიერ ინსპექტირება განხორციელდება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

5. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. საქონლის მოწოდებისას „შემსყიდველის“ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 4.2 ქვეპუნქტით განსაზღვრული პირი ამოწმებს მოწოდებული საქონლის შესაბამისობას წინამდებარე ხელშეკრულების პირობებთან, ხარვეზების (წუნდების) არ არსებობის შემთხვევაში ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი „შემსყიდველსა“ და „მიმწოდებელს“ შორის ფაქტიურად მიღებული საქონლის მიხედვით.

5.2. საქონელი მიღებულად ჩაითვლება მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისთანავე. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ პასუხისმგებლობა საქონელზე გადადის შემსყიდველზე.

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა -უნაღდო.

6.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული საქონლის ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

7. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

7.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს წერილობითი შეტყობინება მეორე მხარეს შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

7.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

8. ხელშეკრულების პირობების შესრულება

8.1 მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ ერთმანეთს ხელშეკრულების შეუსრულებლობით ან ნაწილობრივ შეუსრულებლობით ერთმანეთისათვის მიყენებული ზიანი.

8.2 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

8.3 წინამდებარე ხელშეკრულების განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.02%-ის ოდენობით.

8.4 იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

8.5 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

9.2 თუ რამე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშვება ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10. დავების გადაწყვეტა

10.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

10.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

11. ხარისხი

11.1 მოწოდებული საქონელი უნდა აკმაყოფილებდეს საერთაშორისო სტანდარტებს და ტექნიკურ მოთხოვნებს.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1 თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევაში.

12.2 ხელშეკრულებების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დარჩენილი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულებაზე ბოლო კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპის განთავსების დღიდან და მოქმედებს 2023 წლის 30 აპრილის ჩათვლით.

14. ფორს-მაჟორი

14.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან

სტიქიური მოვლენებით, პანდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს - მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოებების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივ შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.

15. სხვა პირობები

15.1 ხელშეკრულება შედგენილია ელექტრონული ფორმით ქართულ ენაზე და აქვს იურიდიული ძალა.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

"შემსყიდველი"	"მიმწოდებელი"
შპს "ენგურჰესი"	**შპს „ბრენდჰენდი“**
იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი.	იურიდიული მის. ქ. თბილისი, საბურთალოს
ა. პოლიტკოვსკაიას №8	რ-ნი, დ. გამრეკელის ქ., N1, ბ. 4
სს ,,საქართველოს ბანკი“	სს „ტერაბანკი“
ბ/კ BAGAGE22, ს/კ 251716371	ბ/კ TEBAGE22, ს/კ 405326115
ა/ა GE05BG0000000126298600	ა/ა GE46KS0000000360206773
დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე	დირექტორი
Levan Meboniа Digitally signed by Levan Mebonia Date: 2023.03.16 13:53:58 +04'00' **ლ. მებონია**	**გ. დოლიძე**

ვიზა:

ფინანსური დირექტორი Zviad Kilasonia Digitally signed by Zviad Kilasonia Date: 2023.03.16 13:13:31 +04'00'

Giorgi Dolidze 01027035876 Digitally signed by Giorgi Dolidze Date: 2023.03.10 15:01:00

შესყიდვებისა და მომარაგების სამსახური Vakhtang Molashkhia Подписано цифровой подписью: Vakhtang Molashkhia Дата: 2023.03.10 15:11:23 +04'00'

იურიდიული სამსახური Medea Korsantia Подписано цифровой подписью: Medea Korsantia Дата: 2023.03.10 15:12:31 +04'00'

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ვადასტურებთ, რომ "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, №23-154 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვასთან დაკავშირებით, შპს ,,ბრენდჰენდ"- თან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

შპს "ენგურჰესი"-ს დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე	Levan Mebonia Digitally signed by Levan Mebonia Date: 2023.03.16 13:54:34 +04'00'	ლ. მებონია
შპს "ენგურჰესი"-ს შესყიდვებისა და მომარაგების სამსახურის უფროსი	Vakhtang Molashkhia Подписано цифровой подписью: Vakhtang Molashkhia Дата: 2023.03.10 15:11:48 +04'00'	ვ. მოლაშხია
შპს "ენგურჰესი"-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი	Shorena Bursulaia Digitally signed by Shorena Bursulaia Date: 2023.03.13 15:38:59 +04'00'	შ. ბურსულაია